

დოკუმენტი შედგენილია 2011 წელს, სადაც აღნიშნულია საერთაშორისო თანამეგობრობის შუამდგომლობით ქართულ - რუსული „ექსპერტთა საკონსულტაციო საბჭოს“ შექმნაზე, რომელიც „რთულ საკითხებზე“ იმუშავებს. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ (2012 წლის ოქტომბერი) შესაძლებელი გახდა აბაშიძე-კარასინის ე.წ. ჯგუფის შექმნა, რომელიც შემოიფარგლება ძირითადად ეკონომიკური და ჰუმანიტარული საკითხებით (ორ ქვეყანას შორის). ამ ფორმატის ფარგლებში შესაძლებელია საქართველო-რუსეთს შორის პოლიტიკურ საკითხებზე მუშაობა, შეთანხმების წინაპირობის შესაქმნელად (იმის გათვალისწინებით, რომ ორივე მხარე უარს არ აცხადებს ურთიერთობების დალაგებაზე).

დოკუმენტში, მიზანშეწონილად მიიჩნევა საწყის ეტაპზე მუშაობის დაწყება გავლენის მქონე აქტორების შორის შეთანხმების მისაღწევად მთავარ პრინციპებზე. უენევის ფორმატში წარმოდგენილია საერთაშორისო გავლენის მქონე აქტორები გაერო, ევროკავშირი, ეუთო ასევე, აშშ და რუსეთი. ამდენად ეს ფორმატი იძლევა შესაძლებლობას მასში მონაწილე აქტორებთან დაიწყოს მუშაობა შეთანხმების მისაღწევად.

ხოლო რაც შეეხება მსჯელობის დაწყებას ოკუპირებული ტერიტორიებიდან რუსეთის საოკუპაციო ძალების შეტევითი სამხედრო ტექნიკის და შორი მოქმედების სარაკეტო სისტემების გაყვანის შესახებ, უპერსპექტივოა, იმ გეოპოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით რა პროცესებიც მიმდინარეობს დღეს ახლო აღმოსავლეთში და ჩვენს რეგიონში (თურქეთ-რუსეთის შორის დაძაბული ურთიერთობა).

ორმხრივი პირდაპირი ურთიერთობის პირობებში დასაშვებია მხარეებს შორის შეთანხმების მიღწევა უსაფრთხოების გარანტიების შესახებ, რაც ქართული მხრიდან იქნება სერიოზული კომპრომისული ნაბიჯის გადადგმა.

ქართული მხარისთვის მნიშვნელოვანია ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები თანამოქალაქეების (ქართველების) უსაფრთხო გარემოს შექმნა, გადაადგილების უსაფრთხოება, ეროვნების ნიშნით დისკრიმინაციის აღკვეთა აფხაზეთში ჩატარებული ბოლო არჩევნების წინსწრებ მოვლენების გათვალისწინებით. შევარდნაძე - პუტინის სოჭის შეთანხმების საფუძველზე გალის დე-იურე საზღვრებში დაბრუნდა 40 ათასამდე ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა, მათგან არჩევანის უფლების მქონე 26 ათასამდე ეთნიკურად ქართველს ჩამოართვეს ხმის უფლება და სეპარატისტების მიერ მათზე გაცემული პასპორტები გამოაცხადეს უკანონოდ, რაც დღემდე ძალაშია. ასეთი დამოკიდულება ხელს უშლის დაბრუნებული მოსახლეობის დამკვიდრებას მშობლიურ მინა წყალზე.

ასევე, კომპრომისის შედეგი უნდა გახდეს მშობლიურ ენაზე სწავლის უფლება.

მართო ხაზის გასმა ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვის ვალდებულებაზე საკმარისი არ არის. გამყოფი ხაზის გადაკვეთის უფლება საინდივიდუალური დოკუმენტების გამოყენებით კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ მოსახლეობისათვის (მიუხედავად ეთნიკური წარმომავლობისა) ხელმისაწვდომია ქართული მხარის ცალმხრივი კეთილი ნების საფუძველზე. ხოლო გამყოფი ხაზის გამოღმა დროებით მცხოვრებ იძულებით



გადაადგილებული პირთათვის თითქმის შეუძლებელია გარდა ერთეული შემთხვევებისა, სეპარატისტების მიერ გაცემული სპეციალური ნებართვის საფუძველზე.

ნაშანდობლივია ის გარემოება, რომ რუსეთსა და აფხაზეთის შორის არსებული ხელშეკრულების საფუძველზე აფხაზეთის ე.წ. საზღვრის დაცვას უზრუნველყოფს რუსეთის ფედერაცია. შესაბამისი ნებართვის მქონე პირი გამყოფი ხაზის გადაკვეთისას ე. წ. სასაზღვრო კონტროლს გადის რუსეთის სასაზღვრო ჯარების წარმომადგენლებთან. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მხარეს აფხაზეთი აღიარებული აქვს როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო და აფხაზეთის სეპარატისტულ ხელისუფლებასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე დგანან გამყოფ ხაზზე როგორც მესაზღვრეები, გამყოფი ხაზის გადაკვეთის ნებართვის გაცემისას ქართულ პასპორტზე შტამპს არ იყენებენ და გადაკვეთის უფლების შესახებ შტამში ისმება სეპარატისტების მიერ გაცემულ ე.წ. საშვზე.

ზემოაღნიშნული გამყოფი ხაზის გადაკვეთის რეჟიმი დოკუმენტის შედგენის პერიოდისთვის არ ფუნქციონირებდა.

რაც შეეხება აფხაზეთი და ოსური პასპორტებით სარგებლობის უფლებას დაშვების საკითხს:

რეფერალური პროგრამის ფარგლებში საქართველოს ხელისუფლებას აფხაზეთი და ოსური პასპორტებით სარგებლობის უფლება დაშვებული აქვს.

იმის გათვალისწინებით, რომ ქართული სახელმწიფოს მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიებზე გაიყვამა აღნისნული პოსპორტები, ამ ეტაპზე, ქვეყნის უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე მიზანშეწონილია თავი შევიკავოთ აღნიშნული პასპორტების სრული გამოყენების სარგებლობის უფლებების დაშვებაზე, გარდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილებისა.